ჭეშმარიტად, შინაურ ცხოველებს გარეული ცხოველების ბუნება აქვთ, და რომელიმე მათგანი თუ მსგავსად მოიქცევა, იმას ამის მსგავსად მოექეცით

გადმოცემულია რააფი' იბნ ხადიჯისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად ვიმყოფებოდით ზულ ალ-ჰულაიფაში და ადამიანები შიმშილის გრძნობამ შეაწუხა, მათ ხელთ აქლემი და ცხვარი ჩაუვარდათ. (ბრძოლიდან დარჩენილი ნადავლის სახით) თქვა: მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხალხს უკან მიყვებოდა, წინ მყოფებმა კი იჩქარეს, დაკლეს ცხოველები და დაადგეს ქვაბები, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამ ქვაბების გადაყირავება ბრძანა, გადაატრიალეს, შემდეგ გაანაწილა, ის ყოველ ათ ცხვარს ერთ აქლემთან ატოლებდა, უეცრად მათგან ერთი აქლემი გაიქცა, მას უკან გამოედევნენ, მაგრამ მათ ცოტა ცხენოსანი ჰყავდათ და აქლემმა ძალიან დაღალა ისინი, მათგან ერთ-ერთმა კაცმა აქლემს ისარი ესროლა, ალლაჰმა ამ ისარით ის შეაკავა, შემდეგ მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, შინაურ ცხოველებს გარეული ცხოველების ბუნება აქვთ, და რომელიმე მათგანი თუ მსგავსად მოიქცევა, იმას ამის მსგავსად მოექეცით» რაფი'მა თქვა: ჩვენ ვიმედოვნებთ -ან გვეშინია- რომ ხვალ მტერს შევხვდებით, ჩვენ საკლავი დანები თან არ გვაქვს, შეიძლება დავკლათ გამომხმარი ბამბუკით? თქვა: «რასაც სისხლის დაღვრა შეუძლია, და რაზეც ალლაჰის სახელი იქნება ნახსენები მიირთვით, გარდა კბილით და ფრჩხილით დაკლულისა, ამის შესახებ მოგიყვებით: რაც შეეხება კბილს ის ძვალია, ხოლო ფრჩხილი კი ის ჰაბეშელების საკლავი საშუალებაა».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

რააფი' იბნ ხადიჯმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნო, რომ ისინი იყვნენ შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად ზულ-ჰულაიფაში, ადამიანები შიმშილის გრძნობამ შეაწუხა, მათ წარმართებთან ბრძოლის დროს ნადავლის სახით აქლემი და ცხვარი ჩაუვარდათ ხელში, სანამ ნადავლის განაწილება მოხდებოდა, მანამდე იჩქარეს და დაკლეს ცხოველები, და დაადგეს ქვაბები ხორცის მოსამზადებლად. მანამ სანამ ალლაჰის შუამავალიდან (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) ნებართვას აიღებდნენ, ის ყველაზე უკან მოდიოდა, როდესაც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამის შესახებ გაიგო ქვაბების დაქცევა ბრძანა, ქვაბები გადაატრიალეს და დაცალეს, შემდეგ მან გაანაწილა ნადავლი მათ შორის, ის ყოველ ათ ცხვარს ერთი აქლემის საპირწონეთ აწესებდა, უეცრად მათგან ერთი აქლემი გამოეყო და გაიქცა, მას დასაჭერად უკან გამოედევნენ, მათ ძალიან ცოტა ცხენოსანი ჰყავდათ, მათგან ერთმა კაცმა მას ისარი ესროლა, ალლაჰმა ამ ისრით ის შეააბრკოლა და დაიჭირეს, ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კი თქვა: ჭეშმარიტად, შინაურ ცხოველებს გარეული ცხოველების ბუნება აქვთ, და თუ რომელიმე გაიქცევა და მის დაკავებას ვერ შეძლებთ ისე

მოექეცით მას, როგორც ამას მოექეცით. რაფი'იმ თქვა: ჩვენ გვსურს, რომ ხვალ შევხვდეთ ჩვენს მტერს, და ვშიშობთ, რომ ცხოველების დაკვლით ჩვენი ხმლები დაბლაგვდება და ძალიან გვჭირდება სხვა რაიმე საშუალება რითიც დავკლავთ ცხოველებს, ჩვენ თან არ გვაქვს საკლავი დანები წამოღებული, შეიძლება დავკლათ გამომხმარი ბამბუკის ჯოხებით? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) თქვა: რასაც სისხლის დაღვრა შეუძლია რაც ბევრად დაღვრის სისხლს, და რაზეც იხსენება ალლაჰის სახელი მიირთვით, კბილიის და ფრჩხილის დაკლულის გარდა, აგიხსნით ამას თუ რატომ: რაც შეეხება კბილს ის ძვალია, ხოლო ფრჩხილს, მას ჰაბეშეს ურწმუნო ხალხი იყენებენ საკლავად.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/2984